კურიკულუმის კომიტეტში სტუდენტთა წარმომადგენლების არჩევნები

პრეამბულა

კურიკულუმის კომიტეტი არის რექტორის მიერ შექმნილი კოლეგიალური ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს ახალი და არსებული საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა/განვითარებას და დასამტკიცებლად წარუდგენს თსა-ს რექტორატს. კურიკულუმის კომიტეტის მუდმივი წევრები არიან თსა-ს ადმინისტრაციის წარმომადგენლები და აკადემიური პერსონალი. გარკვეული პერიოდულობით, განსახილველი საკითხიდან გამომდინარე, შესაძლოა კომიტეტის სამუშაო ჯგუფში მოწვეულ იქნას სხვა, აკადემიური თუ მოწვეული პერსონალი, კურსდამთავრებულები ან დამსაქმებლები. კურიკულუმის კომიტეტის წევრები ასევე არიან თსა-ს სტუდენტები.

კურიკულუმის კომიტეტში თსა-ს 2021-2028 წწ. სტრატეგიული გეგმის შესაბამისად, უნდა შეირჩეს თითო სტუდენტი ყოველი აკადემიური წლიდან, ჯამში 6 სტუდენტი, მათ შორის ქართულენოვანი პროგრამიდან 3 სტუდენტი, ხოლო ინგლისურენოვანი პროგრამიდან - 3. კურიკულუმის კომიტეტის წევრ სტუდენტებს აირჩევენ თსა-ს სტუდენტები. არჩევნები უნდა ჩატარდეს ორ წელიწადში ერთხელ. კურიკულუმის კომიტეტის ექვსივე წევრს ექნება ვალდებულება რეგულარულად შეიკრიბონ და განიხილონ სასწავლო გეგმასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები. კურიკულუმის კომიტეტის სხდომაზე (რომელიც სემესტრში ერთხელ ან რამდენჯერმე იმართება) ყველა არჩეული სტუდენტის დასწრების აუცილებლობა არ არის, თუმცა, აუცილებელია სტუდენტებიდან მინიმუმ 2 წარმომადგენელი დაესწროს კომიტეტის სხდომებს და გააჟღეროს სწავლა-სწავლების ან შეფასების პროცესებთან დაკავშირებული საკითხები. კურიკულუმის კომიტეტში მიღებული ყველა გადაწყვეტილების შესახებ ინფორმირებული უნდა იყოს კომიტეტის ექვსივე წევრი-სტუდენტი.

კურიკულუმის კომიტეტის სხდომის ჩანიშვნის შესახებ, კურიკულუმის კომიტეტი ინფორმაციას აწვდის ინსტიტუციური კულტურის განვითარების დეპარტამენტს, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს კურიკულუმის კომიტეტის წევრი სტუდენტების ინფორიმირებას აღნიშნულის თაობაზე.

მუხლი 1. სტუდენტური წარმომადგენლობის მოვალეობები კურიკულუმის კომიტეტში

1.1 კურიკულუმის კომიტეტის სხდომებზე დასწრება სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ამოცანების/პრობლემების შესაბამისად.

1.2 კურიკულუმის კომიტეტის წევრებისათვის სტუდენტების მოსაზრებების გაზიარება შემდეგ საკითხებზე:

ა. საგანმანათლებლო პროგრამა

ბ. სწავლების მეთოდები

გ. შეფასების მეთოდები

დ. ხელმისაწვდომი რესურსები და მათი გამოყენება

ე. კვლევითი აქტივობები

ვ. დამატებითი რეკომენდაციები

1.3 კომიტეტის სტუდენტურმა წარმომადგენლებმა უნდა იმოქმედონ როგორც საკონტაქტო პირებმა, რომლებიც წარმოადგენენ სწავლა-სწავლების პროცესის მიმდინარეობისას სტუდენტების პერსპექტივიდან დანახულ სხვადასხვა საკითხს.

1.4 კომიტეტის სტუდენტურმა წარმომადგენლობამ უნდა იმოქმედოს, როგორც სამუშაო ჯგუფმა, რათა ჩაერთონ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვადასხვა პროექტისა და კვლევის განხორციელებაში.

1.5 კომიტეტის სტუდენტურმა წარმომადგენლობამ უნდა იფუნქციონიროს, როგორც სამუშაო ჯგუფმა, თსა-ს ხარისხის სამსახურთან კოორდინაციით ჩაატაროს გამოკითხვები და გააანალიზოს სტუდენტების მოსაზრებები და დამოკიდებულებები სასწავლო პროგრამებთან, სწავლების მეთოდებთან და ზოგადად, სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვადასხვა ასპექტზე.

1.6 კურიკულუმის კომიტეტის არჩევნები უნდა ჩატარდეს ორ წელიწადში ერთხელ ერთხელ. არჩეული სტუდენტები პოზიციას იკავებენ ორი წლის ვადით. ერთი და იმავე სტუდენტის ზედიზედ ოთხი წლის ვადით არჩევა დაუშვებელია.

მუხლი 2. კურიკულუმის კომიტეტში სტუდენტური წარმომადგენლობა უზრუნველყოფს:

2.1 თბილისის სამედიცინო აკადემიის მისიის, კერძოდ სტუდენტზე ორიენტირებული გარემოსა და კულტურის გაძლიერებას, სტუდენტებსა და უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის გაზრდას სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის მეშვეობით.

2.2 თანაკურსელებთან ფასილიტაციის ხელშეწყობას, მათი მოსაზრებებისა და ინიციატივების კურიკულუმის კომიტეტთან მიწოდებას და გაზიარებას სასწავლო პროგრამების შემუშავების პროცესში.

2.3 კომიტეტის წევრ სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ შეიძინონ და განავითარონ საკომუნიკაციო და გუნდური მუშაობის უნარები, ლიდერობის გამოცდილება, პრობლემის გადაჭრის, ორგანიზაციული და პრეზენტაციის უნარები.

2.4 აღნიშნული გამოცდილება მნიშვნელოვნად გაამდიდრებს კომიტეტის წევრი სტუდენტის პორტფოლიოს.

2.5 კომიტეტის წევრი სტუდენტი გახდება აქტიური სტუდენტების ჯგუფის ნაწილი და მათი წარმომადგენელი, რომელიც ითანამშრომლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალთან.

მუხლი 3. კურიკულუმის კომიტეტის წევრი სტუდენტების უპირატესობები სასწავლო კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ

3.1 კურიკულუმის კომიტეტის თითოეულ წარმომადგენელზე წევრობის ვადის დასრულების შემდგომ (2 სასწავლო წელი) გაიცემა სერტიფიკატი.

3.2 კურიკულუმის კომიტეტის წევრ სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა განმავითარებელ აქტივობაში, კერძოდ, გაცვლით პროგრამებში, ტრენინგებსა და კონფერენციებში, რაც ხელს შეუწყობს მათ, უკეთ შეასრულონ საკუთარი მოვალეობები კურიკულუმის კომიტეტში.

3.3 კონკრეტული ინიციატივებით, კურიკულუმის კომიტეტის სტუდენტ წევრებს რეალური ცვლილებების და ინოვაციების შეტანა შეეძლებათ სასწავლო პროცესში, რაც მნიშვნელოვანი იქნება მათი აკადემიური და პროფესიული წარმატებისთვის.

მუხლი 4. კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

4.1 სტუდენტის აკადემიური მოსწრება (GPA) არ უნდა იყოს 2.5-ზე ნაკლები.

4.2 კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს რეზიუმე/CV ფოტოსურათით. რეზიუმე უნდა მოიცავდეს სტუდენტის ინტერესებისა და მისწრაფებების აღწერას, ექსტრაკურიკულურ, აკადემიურ და სოციალურ აქტივობებში მიღებულ გამოცდილებას, მოხალისეობრივი საქმიანობის, სტუდენტურ კონფერენციებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის შესახებ ინფორმაციას (არაუმეტეს 300 სიტყვისა).

4.3 კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს სამოტივაციო წერილი, თუ რა ხედვა გააჩნია კურიკულუმის კომიტეტის საქმიანობასთან მიმართებით და რატომ წარადგენს საკუთარ კანდიდატურას (არაუმეტეს 300 სიტყვისა).

მუხლი 5. რეგისტრაცია

5.1 რეგისტრაციის ვადის ამოწურვის მომენტისათვის არასრულად წარმოდგენილი სააპლიკაციო ფორმის შემთხვევაში, კანდიდატი მოიხსნება არჩევნებიდან.

5.2 ვადაგადაცილებით შემოსული განაცხადები არ განიხილება.

მუხლი 6. არჩევნები

6.1 არჩევნები ჩატარდება ელექტრონულად, Google Forms-ის მეშვეობით. ხმის მიცემის უფლება ექნებათ სტუდენტებს მხოლოდ თსა-ს ელ-ფოსტის გამოყენებით.

6.2 გამარჯვებულები იქნებიან ის სტუდენტები, რომელთაც ექნებათ მოპოვებული ყველაზე მეტი ხმა.

6.3 არჩევნებზე მიღებული შედეგები ჩაითვლება ვალიდურად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მასში მონაწილეობას მიიღებს თსა-ს სტუდენტების არანაკლებ 10%.